იმ შემთხვევაში, როცა გერმანიაში ყოფნის პერიოდში მიგრაციისა და ლტოლვილთა სამსახურის მიერ გადმოგზავნილი ან პირადად ხელში გადმოცემული საბუთი შეიცავს გაფრთხილებას ან გადწყვეტილებას დეპორტაციის შესახებ, გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებები:

მნიშვნელოვანი ინფორმაცია გერმანიაში ყოფნის პერიოდში(AufenthG)

ინსტრუქცია

გემანიაში ყოფნის კანონის (AufenthG) §60ა, მე–2დ აბზაცის შესაბამისად

იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ ისეთი სახის დაავადება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს თქვენს დეპორტირებას, ეს უნდა დასაბუთებული იყოს ექიმის ცნობით. თქვენ ვალდებული ხართ ეს საბუთი <u>დაუყონებლივ</u> მიაწოდოთ ქალაქის მერიის უცხოელთა განყოფილებას, სადაც იმყოფებით აღრიცხვაზე (Ausländeramt). ექიმის ცნობის ვადას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე აუცილებელია მსგავსი საბუთის დროული წარდგენა, თუ საქმე ეხება თქვენს არასრულწლოვან შვილს. თუ ამ საბუთის წარდგენა არ მოხდა ან დაგვიანდა, ექიმის მიერ დაადგენილი დიაგნოზი კარგავს ზემოქმედებას დეპორტაციის გადავადებაზე. იგივე ეხება თქვენს არასრულწლოვან შვილს. საბუთს შეიძლება არ ქონდეს გავლენა იმ შემთხვევაში, თუნდაც ის დროულად იყოს წარდგენილი, თუ იგი არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუ უცხოელთა განყოფილების ინსტრუქტორს ეჭვი შეეპარება ექიმის დიაგნოზში, იგი უფლებამოსილია დანიშნოს კომისია და ახალი გამოკვლევა. თუ თქვენ ამ გადაწყვეტილებას (საპატიო მიზეზის გარეშე) არ დაემორჩილებით, ინსტრუქტორი უფლებამოსილია უგულვებელყოს (მხედველობაში არ მიღოს) თქვენს მიერ წარდგენილი ექიმის ცნობა.

ინსტრუქცია

გერმანიაში ყოფნის კანონის (AufenthG) §50, მე–4 აბზაცის შესაბამისად

მას შემდეგ, რაც მიიღებთ ზემოთხსენებულ გაფთხილებას ქვეყნის დატოვების მოთხოვნით, თქვენ ვალდებული ხართ ბინის შეცვლის, ან მიმაგრების უბნის დატოვების ყველა შემთხვევაში სულ ცოტა სამი დღით ადრე გააფრთხილოთ უცხოელთა განყოფილება. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ, რომ მოხვდებით სადეპორტო ციხეში.(§62, მე–3 აბზ. N3, AufenthG).